საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება ყოფილი პრემიერ-მინისტრის ივანე მერაბიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაჯაროებასთან დაკავშირებით

ხელმომწერი ორგანიზაციები შეშფოთებას გამოვთქვამთ 2018 წლის 24 სექტემბერს, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც უხეშად არღვევს როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ისე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციით დაცულ ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს.

2018 წლის 23 სექტემბერს, ტელეკომპანია □□□□□□□ 2 A□□□ ეთერით გასულ სიუჟეტში მსჯავრდებულ ივანე მერაბიშვილის ადვოკატმა ისაუბრა ყოფილი პრემიერ-მინისტრის ჯანმრთელობის მდგომარეობის დამძიმებასთან დაკავშირებით და გამოთქვა ვარაუდი

მსჯავრდებულის მიზანმიმართული ინტოქსიკაციის შესახებ. საპასუხოდ, სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა გაავრცელა ზემოხსენებული განცხადება, რომელშიც ჩამოთვლილია არა მხოლოდ მსჯავრდებულ ივანე მერაბიშვილის მიმართ ჩატარებული გამოკვლევები, არამედ ასევე, მათ შედეგად მსჯავრდებულისთვის დასმული დიაგნოზებიც. ი.მერაბიშვილის ადვოკატების ინფორმაციით, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს აღნიშნული მონაცემების გავრცელებაზე მსჯავრდებულისგან თანხმობა არ მოუპოვებია. კონფიდენციალური ხასიათის სამედიცინო ინფორმაციის გასაჯაროება პენიტენციურმა სამსახურმა მაღალი საჯარო ინტერესითა და პოლიტიკური სპეკულაციების თავიდან აცილებით ახსნა.

წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) სტანდარტებით, თანხმობის გამოხატვის თავისუფლება და კონფიდენციალურობის დაცვა არის ადამიანის ძირითადი უფლებები. ამ უფლებების დაცვა უმნიშვნელოვანესია ექიმსა და პაციენტს შორის ნდობის დამყარებისათვის, განსაკუთრებით თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, სადაც პატიმარს არ შეუძლია ექიმის თავისუფლად არჩევა.

საქმეში Ḍ□□ ფინეთის წინააღმდეგ □ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ Ḍ□□□□□□□□□□□ ინფორმაციის, განსაკუთრებით კი სამედიცინო მონაცემების დაცვა ფუნდამენტური მნიშვნელობისაა კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვის უფლების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა სასიცოცხლო მნიშვნელობის პრინციპია კონვენციის ყველა ხელმომწერი მხარის სამართლებრივ სისტემაში. აღნიშნულ პრინციპს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ პაციენტის პრივატულობის პატივისცემის, არამედ, ასევე, სამედიცინო პროფესიისა და ზოგადად, ჯანდაცვის სისტემის მიმართ მისი ნდობის შენარჩუნების თვალსაზრისითაც.“

იმისთვის, რომ სამედიცინო ინფორმაციის კონფიდენციალობის დარღვევამ არ გამოიწვიოს ევროკონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, ევროსასამართლო ამოწმებს, რომ ამგვარი ინფორმაციის გამჟღავნების შესაძლებლობა დაშვებული იყო ქვეყნის კანონმდებლობით გარკვეულ, ნათლად განსაზღვრულ შემთხვევებში, კერძოდ თუ ეს ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პირის უფლება პირად ცხოვრებაზე და აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში, რაც, მათ შორის, გულისხმობს, რომ იმავე მნიშვნელოვანი მიზნის მიღწევა სხვა, ადამიანის უფლებების ნაკლებად ხელმყოფი საშუალებებით შეუძლებელი იქნებოდა.

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, Ď□□□□□□□□ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.“

Ď□□□□□□□□ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების სამართლებრივი საფუძვლის არსებობის მიუხედავად, მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე დაუშვებელია მონაცემთა გასაჯაროება და მესამე პირისათვის გამჟღავნება.

Ď□□□□□□□□ უფლებების შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მიხედვით, Ď□□□□□□□□□ პაციენტს უფლება აქვს გადაწყვიტოს, მიიღოს თუ არა ვინმემ ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. (☀□□**27-ე მუხლის** თანახმად, Ď□□□□□□□□□ მომსახურების გამწევი ვალდებულია პაციენტის შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალობა დაიცვას როგორც პაციენტის სიცოცხლეში, ისე მისი სიკვდილის შემდეგ“.

ამავე კანონის **28-ე მუხლი** ამომწურავად განსაზღვრავს შემთხვევებს, როდესაც სამედიცინო ხასიათის ინფორმაციის გამჟღავნება შესაძლოა, დასაშვებად ჩაითვალოს, თუმცა ჩამონათვალი არ ითვალისწინებს პენიტენციური სამსახურის მიერ ზემოთ დასახელებულ მიზეზებს, კერძოდ კი, მაღალ საზოგადოებრივ ინტერესსა და პოლიტიკური სპეკულაციების თავიდან აცილებას.

შესაბამისად, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ქმედებით ივანე მერაბიშვილის მიმართ დაირღვა როგორც საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული პრინციპები პერსონალური, მათ შორის, სამედიცინო ხასიათის ინფორმაციის დაცვის თაობაზე, ასევე, საერთაშორისო სტანდარტებით, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვის უფლება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე:

- მოვუწოდებთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს შეისწავლოს ივანე მერაბიშვილის პერსონალური ინფორმაციის უკანონო გამჟღავნების საკითხი და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება;

- მოვუწოდებთ სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტს, განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდონ მსჯავრდებულ ი. მერაბიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების თაობაზე გამოთქმულ ვარაუდებს, მსჯავრდებულს უმოკლეს ხანში ჩაუტარონ ყველა შესაბამისი გამოკვლევა და უზრუნველყონ მისი ადეკვატური მკურნალობა.

ხელმომწერი ორგანიზაციები:

დემოკრატიისა და უსაფრთხო განვითარების ინსტიტუტი (IDSD)

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI)

წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრი „ემპათია“ (RCT/Empathy)

ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის (RIVG)

ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI)

ადამიანის უფლებათა ცენტრი

კონსტიტუციის 42-ე მუხლი